საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/19 **10/10/2022**

რეკომენდაცია უწყვეტი სამედიცინო განათლების მოდულზე

ონლაინ სასწავლო მოდული „ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის გამოვენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერირების საკითხებზე“ მომზადდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) , საქართველოს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლობით.

სატრეინგო მოდული შემუშავებულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, გაეროს მოსახლეობის ფონდის, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის ჯანდაცვისა და საუკეთესო კლინიკური პრაქტიკის ეროვნული ინსტიტუტის, გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის დეპარტამენტისა და ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის დოკუმენტების, საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების, ევროსაბჭოს სტამბოლის კონვენციის და ევროპული ქსელის – ქალები ძალადობის წინააღმდეგ – საინფორმაციო ცენტრის რესურსებზე დაყრდნობით, ასევე ქვეყანაში დამტკიცებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურების "ჯანდაცვის მომსახურებების გაწევა გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობაზე დარგთაშორისი რეაგირებისას" მიხედვით, რომელიც განახლდა 2022 წელს

განახლება ძირითადად შეეხო რეკომენდაციებში მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციას, როგორიცაა ლგბტქ თემის წარმომადენელი ქალები, შშმ ქალები, სექს-მუშაკი ქალები.

ქალთა მიმართ ძალადობა ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და ჯანდაცვის სისტემის ადეკვატური ინფორმირებულობა და ჩართულობა აუცილებელია საკითხის რეგულირებისთვის და სწორი პასუხისათვის. აშკარაა, რომ აუცილებელია სამედიცინო საზოგადოების ცოდნის ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობაზე და ექიმების როლზე ძალადობის გამოვლენაში და სწორ რეაგირებაში. განსაკუთრებით მნიშნელოვანია ამ საკითხის კარგად გაცნობიერება პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის, რადგან ოჯახის ექიმი ხშირად ჯანდაცვის სისტემასთან პირველი შეხების ადგილია მოქალაქეებისთვის და სწორედ ამ რგოლის გაძლიერება და განათლება შეიძლება ერთ-ერთ მნიშნელოვან იარაღად მივიჩნიოთ ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევაში და სწორ რეაგირებაში.

პროგრამის სტრუქტურა იძლევა საშუალებას, რომ მსმენელმა გაიაზროს პრობლემის არსი, გაეცნოს მსხვერპლის და მოძალადის ფსიქოლოგიურ როლებს, გაეცნოს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას და საერთაშორისო მარეგულირებელ აქტებს.

ექიმების უფლებები და ვალდებულებები ოჯახური ძალადობის მსხვერპლთან/სავარაუდო მსხვერპლთან ურთიერთობისას ცალსახადაა გაწერილი და მიეწოდება ექიმებს როგორც ვიდეო-ტუტორიალების სახით, ასევე, დამტკიცებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურის ელექტრონული ვერსიის სახით.

მნიშვნელოვანია, რომ მოდულში დეტალურად არის განხილული საკითხის სამართლებრივი მხარე. ექიმის უფლებები და მოვალეობები ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ საკითხზე სამედიცინო საზოგადოება საჭიროებს ცოდნის მუდმივ განახლებას და კარგ ინფორმირებას, განსაკუთრებით ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, სადაც ბოლო წლებში კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი.

სასწავლო კურსში ყურადღება გამახვილებულია კონსულტაციის პროცესზე და დეტალებზე, რაც ხელს უწყობა ექიმს, რომ დაიწყოს და სწორად წარმართოს საუბარი სავარაუდო მსხვერპლთან, როგორ შეაფასოს და დაიცვას პაციენტის და საკუთარი უსაფრთხოება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შშმ ქალებთან ურთიერთობის თავისებურებები, რაც მოდულში დეტალურადაა განხილული.

პროგრამის ონლაინ -მოდულად წარმოდგენა მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით, თუ გავითვლისწინებთ იმ გამოწვევებს, რაც განათლების სისტემის წინაშე დადგა მსოფლიოში არსებული ეპიდემიოლოგიური რეალობის გათვალისწინებით.

მოდულის შეფასების ნაწილი წარმოდგენილია ტესტური კითხვარით, რაც მიღებული ცოდნის ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი დადებითად აფასებს წარმოდგენილ უწყვეტი პროფესიული განვითარების სასწავლო პროგრამას „ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერირების საკითხებზე“ და რეკომენდაციას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე.

ა(ა)იპ „საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის“ თავმჯდომარე

პატივისცემით,